

## ტრენინგ-პროგრამის (სასწავლო კურსის) წარსადგენი ფორმა

1. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მომწოდებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური) და სტატუსი (თანამდებობა,პოზიცია):
2. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის განმახორციელებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური):  
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მიზნობრივი პროგრამების სამსახური

**3. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის დასახელება: „ტრანზიციის პროცესი, რომელიც სკოლიდან იწყება“**

**4. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ჯგუფი/ჯგუფები:**

**4.1 უფასო ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში - VII-XII კლასის დამრიგებლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები (ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი), განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრები, მასწავლებლის სახლის ინკლუზიური განათლების ტრენერები.**

*შენიშვნა: იმის გამო, რომ ტრენინგში მოცემული მასალა და დავალები გათვლილია VII-XII კლასის მოსწავლეებისათვის, I-VI კლასის დამრიგებლებს გაუჭირდებათ ტრენინგში აღწერილი დავალების შესრულება, რამაც შესაბამისად შეიძლება იმოქმედოს მათ შეფასებაზე. ამიტომ, არ არის რეკომენდებული მათი ჩართვა ტრენინგში, ამ ინფორმაციის გაცნობის გარეშე.*

*შენიშვნა: იმისათვის, რომ მასწავლებლის სახლის ინკლუზიური განათლების ტრენერებმა შეძლონ აღნიშნული ტრენინგის სამიზნე ჯგუფებთან ჩატარება, აუცილებელია მათ დამუშავებული ჰქონდეთ შემდეგი ლიტერატურა/საკითხავი მასალა:*

**4.2** ფასიანი ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

**5. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა:**

5.1. უფასო ტრენინგის შემთხვევაში: 10-20

5.2. ფასიანი ტრენინგის შემთხვევაში: 10-20

**6. რეგიონული დაფარვა:** საქართველო

**7. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება:**

**ტრენინგი 2 დღიანია. დღეში დატვირთვა 5 საკონტაქტო საათს შეადგენს (სულ 10 საათი).** საჭიროების შემთხვევაში, ტრენინგი შეიძლება გადანაწილდეს 3 დღეზე. მონაწილეების დამოუკიდებელი მუშაობის საათები, ლიტერატურის დამუშავებისა და დავალებების შესრულებისათვის, შეადგენს 15 საათს.

*შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის ჩასატარებელი დღეებისა და საათების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.*

**8. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით:**

**ტრენინგის მოცულობაა 1 ECTS , 10 საკონტაქტო საათი და 15 დამოუკიდებელი მუშაობის საათი.**

**9. ადამიანური რესურსი:** ტრენინგი ტარდება ერთი ტრენერის მიერ.

შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირი (ტრენერი/ტრენერები) მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ტრენინგი ჩატარდეს წყვილში. ტრენინგ-მოდულის ავტორი - ნინო რუხაძე.

**10. მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი:**

კომპიუტერი, პროექტორი, დინამიკები, დაფა და საწერი საშუალებები, A4 ფორმატის ფურცლები (100), A1 ფორმატის ფურცლების შეკვრა (flipchart) და ფლომასტერების შეკვრა, წებოვანი ლენტი, კალმების შეკვრა, საკითხავი მასალა მონაწილეებისათვის.

#### **11. სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები:**

დასწრება აუცილებელია ტრენინგის სულ მცირე 8 საკონტაქტო საათზე. სერტიფიკატი გაიცემა ჩაბარებული დავალებების შეფასებისა (სულ მცირე 35 ქულა) და დასწრების საათების შესაბამისად. თუ მონაწილემ ვერ დააკმაყოფილა სერტიფიკატის მიღების მინიმალური მოთხოვნა (დასწრება 8 საკონტაქტო საათზე ნაკლები ანდა შეფასება 30 ქულაზე ნაკლები) მონაწილე იღებს ცნობას, სადაც აღნიშნულია, რომ ის დაესწრო ტრენინგის მხოლოდ მითითებულ საათებს.

#### **12. მსმენელის შეფასების სისტემა:**

**მონაწილე ფასდება მაქსიმალური ქულით - 45. ქულები ნაწილდება 2 სატრენინგო და 1 საბოლოო დავალებაზე. სატრენინგო დავალებები 10 ქულიანია, ხოლო საბოლოო დავალება 25 ქულიანი (იხ. დანართი 1).**

**დანართი 1.**

### **ტრენინგის დავალებების აღწერა**

**დავალებების მიზანი:** დავალებების მიზანია მონაწილის მიერ ტრენინგზე განხილული საკითხების გადატანა პრაქტიკაში. დავალებები ეხმარება მონაწილეს მობილიზებასა და საკუთარი პრაქტიკის ანალიზში ტრანზიციის პროცესთან მიმართებით; ტრანინგზე განხილული საკითხების მოსინჯვაში და საკუთარი მხრიდან ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაზე მუშაობის პროცესის დანერგვაში.

**დავალებების აღწერა:** ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესზე მუშაობის დაწყება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან და მის ოჯახის წევრებთან/მეურვესთან ერთად. ამ უკანასკნელში მოიაზრება: მოსწავლის პროფილის შემნა, მოსწავლესთან და ოჯახთან/მეურვესთან პირველი შეხვედრის დაგეგმვა, განხორციელება და გადაფასება; მოსწავლის პროფესიული ორიენტაციისათვის ვიზიტების დაგეგმვა, ერთი ვიზიტის განხორციელება და გადაფასება; მოსწავლესთან ერთად პროფესიული ორიენტაციის პორტფოლიოს შექმნის დაწყება.

**დავალებების შესრულების პირობა:** სატრენინგო დავალება # 1 სრულდება მცირე ჯგუფებში (3-4 ადამიანი), დავალება # 2 და საბოლოო დავალება # 3 სრულდება ინდივიდუალურად.

სატრენინგო დავალება # 1-ს მონაწილეები წარადგენენ ტრენინგის პირველ, ხოლო დავალება # 2-ს მეორე დღეს.

მონაწილეების თითოეულ მცირე ჯგუფს # 1 დავალების წარსადგენად და კითხვებზე პასუხის გასაცემად საშუალოდ 15 წთ აქვს. სატრენინგო დავალების ფორმატია მოკლე პრეზენტაცია წამყვანისა და დანარჩენი მონაწილეების წინაშე.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ისინი მუშაობენ # 2 და # 3 საბოლოო დავალებაზე.

სრულად განხორციელებულ საბოლოო დავალებას მონაწილეები აგზავნიან ტრენინგთან შესაფასებლად ტრენინგის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 კვირისა.